საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-228

ქ. თბილისი

11/03/2019

კასპის რ-ნ სოფ. იდლეთის ტერიტორიაზე შპს „ზ.ზ. ჯგუფის“ წვეთოვანი სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ზ.ზ. ჯგუფის“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია, წვეთოვანი სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სარწყავი სავარგულები მდებარეობს კასპის რ-ნ სოფ. იდლეთის ტერიტორიაზე (12 ჰა). სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილია შპს „ზ.ზ. ჯგუფის“ საკუთრებაში არსებული 3 ნაკვეთის მორწყვა (ს/კ : 67.09.41.377; 67.09.41.378 და 67.09.41.379), სადაც გაშენებულია მაყვალი.

პროექტი ითვალისწინებს მდ. კავთურადან (სოფ. წინარეხი), სოფ. იდლეთის მიმართულებით 90 მმ. დიამეტრის და 4.5კმ. სიგრძის მილის გაყვანას, რომელიც ჩადებული იქნება მიწაში 80 სანტიმეტრის სიღრმეში და უზრუნველყოფს წყლის თვითდინებით მიწოდებას სამელიორაციო სისტემისთვის. საწყისი წერტილის GPS კოორდინატები: X – 454062; Y- 4631609, საბოლოო: X – 455510; Y – 4633937. სარწყავი სავარგულიდან დაშორება უახლოეს მოსახლემდე შეადგენს 350მ-ს.

სამელიორაციო სისტემა შედგება მცირე ზომის ბეტონის აუზისაგან, რომელშიც დამონტაჟებულია ცენტრიდანული ტუმბო და წვეთოვანი მორწყვის სისტემა. ტუმბოს წარმადობა - 20მ³/სთ (ელ. ძრავის სიმძლავრე 3,5 კვ).

საქმიანობის დროს ობიექტი სარგებლობს მხოლოდ სამელიორაციო დანიშნულების წყლით. გამოყენებული წყლის მოცულობა თვეების მიხედვით: მარტი - 1000მ³; აპრილი - 2000მ³; მაისი - 3000მ³; ივნისი - 4000მ³; ივლისი - 4000მ³; აგვისტო - 4000მ³; სექტემბერი - 3000მ³.

სამელიორაციო სისტემის მოწყობის ეტაპზე მილის პარამეტრების და 80 სმ თხრილის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ზემოქმედება ნიადაგის საფარზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.

ექსპლუატაციის ეტაპზე სარწყავ სავარგულზე არსებული ტუმბოს (რომელიც ხმაურის წყაროს წარმოადგენს) სიმძლავრის და მოსახლეობიდან დაშორების გათვალისწინებით ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

საპროექტო არეალის მდებარეობიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ბიომრავალფეროვნების კუთხით ზემოქმედება მნიშვნელოვანი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, პროექტის განხორციელებისას, მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი არ არის.

საქმიანობის შედეგად ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ავარიული სიტუაციებისა და კატასტროფების რისკები არ არსებობს.

სკრინინგის განცხადების თანახმად საპროექტო ზონის სიახლოვეს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ აღინიშნება.

ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკიდან და ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარწყავის სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ კასპის რ-ნ სოფ. იდლეთის ტერიტორიაზე შპს. „ზ.ზ. ჯგუფის" წვეთოვანი სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაციის პროექტი **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ზ.ზ. ჯგუფი" ვალდებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ზ.ზ. ჯგუფს";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ზ.ზ. ჯგუფის" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი